№ 213, ოქტომბერი 9, პარასკევი 1892 ოქტომბერი 9, პარასკევი № 213


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია" 1-ლ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (6—6)


საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან.

საზოგადოების მმართველობა აუწყებს ვენახებისა და ხეხილიანის ბაღების პატრონთ დ აგრეთვე იმათ, ვისაც მოჰყავს თუთუნი, სვია, ბამბა და სხვ., რომ მსურველთ ყოველ ამის დასაზღვევად სეტყვისაგან შეუძლიანთ მიჰმართონ საზოგადოების სანდო კაცს დ. ქ. თუთაევს.

(აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი).

გამგებელი ვ. ა. ტარგონსკი (5—2)

**ისყიდება ტფილისში შემთხვევით იაფად**

ნაჭერ-ნაჭრად იოსელიანისეული მამულები, თითო ას ოთხ-კუთხიან საჟენამდე. შეიძლება მეტის ყიდვაც. იუნკრის სასწავლებლის ახლო, მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის შემაერთებელ ქუჩაზედ. პირობის შეტყობა შეიძლება „Дворянскіе Номера"-ში (სააზნაურო ნომრებში), № 10, ალექსანდრეს ბაღს ახლო. (1—1)


ტფილისი, 8 ოქტომბერი

ამ სამის დღის წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი დიდად საყურადღებო წერილი სოფ. ქედადგან, რომელიც ქვედა აჭარაშია. დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი ქართველი, რომელსაც-კი სამშობლოს სიყვარული სიტყვების რახა-რუხად არ მიაჩნია და ნამდვილად არის მოწადინებული, შეძლებისა დაგვარად, სასარგებლო შვილი იყოს სამშობლოსი, დიდს ყურადღებას მიაქცევს და ეცდება სურვილი განუხორციელოს აჭარის ქართველ მაჭმადიანობას, რომელნიც გვეხვეწებიან და გვემუდარებიან, მოდით, ხელი გამოგვიწოდეთ, დაგვეხმარეთ და განათლების ლამპარი აგვინთეთო.

მუდმივი ჩვენი თანამშრომელი, დიდად პატივცემული აბდულ-ეფენდი მიქელაძე მჭევრ-მეტყველისა და გრძნობით სავსე სიტყვებით აღგვიწერს მწარე და ბედ-შავს წარსულს და შემდეგ მოიწვევს თავისს უფრო ბედნიერ თანამოძმეთა, დაგვეხმარეთ და, როგორც ხორცითა და სისხლითა ვართ ერთნი, გავხდეთ განუშორებელნი ძმანი სულითა და გულითაცაო. არა გვგონია, რომ ქართველობამ ყური არ უგდოს და არ შეისმინოს ეს ვედრება, მერე როცა ისეთი მცირე დახმარებაა საჭირო, რომ სალაპარაკოდაც არა ჰღირს. აბა რა უნდა იყოს ერთის სკოლის გამართვა სოფ. ქედაში. ბევრი-ბევრი წელიწადში მოუნდეს სულ სამოცი თუმანი. ამ ხარჯის გაწევა ერთს შეძლებულს კაცსაც შეუძლიან წლითი-წლობამდე, არამც თუ მთელის ერისათვის იყოს გასაჭირი. თვით ბათუმის სკოლის ისტორია ნათლად ამტკიცებს, რომ ქართველთ მაჭმადიანთა შორის სკოლის შენახვას ჩვენის მხრით დიდი ხარჯი არა სჭირდება, რომ თვით ბათუმელები ჰპოულობენ სახსარს თავის სკოლის ხარჯთა გასაძღოლად; ამასვე გვიმტკიცებს მაგალითი კავკავის მცირე ქართველობისა, რომელიც ყოველ წლივ ას თუმნობით აგროვებს ფულს თავის სკოლისათვის. მაშასადამე, ჩვენ გვრჩება მხოლოდ დაწყება საქმისა და სხვა არაფერი.

თვით ბატონის აბდულ-ეფენდი მიქელაძის წერილი იმდენად საყურადღებოა, ისეთის სისრულით ჰხატავს მწარე ბედისაგან დაჩაგრულ აჭარის ქართველების მდგომარეობას, რომ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ აქ და ერთხელ კიდევ არ მივცეთ ჩვენს მკითხველს ღონისძიება ამ მშვენიერის წერილის წაკითხვისა.

„მადლობა ღმერთსაო, სწერს პატივცემული კორრესპონდენტი: რომ ჩვენ, ქართველ მაჭმადიანებს, ჩვენმა ძმებმა, ქართველ ქრისტიანებმა, ყურადღება მოგვაქციეს და ჩვენთვის წიგნებიც დაჰბეჭდეს: „მუჰამედის ცხოვრება", ლოცვები და სხვანი. ღმერთმა ხომ იცის, რომ დიდად მოწადინებულნი ვართ ჩვენსა და თქვენ შუა ძველებური სიყვარული გაცოცხლდეს და ამით ერთმანეთის პატივისცემა და შველა ვიცოდეთ. ჩვენც ძველად ქართველები ვიყავით; როგორც თქვენი, ჩვენი საყვარელი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი სამშობლო ენაც ქართულია, მხოლოდ რჯულით ჩვენ გახლავართ მაჭმადიანნი. აქამდის ჩვენ ოსმალოს ხელში ვიყავით... აქაურებმა ბევრი წვალება, ტანჯვა და მწუხარება გამოვიარეთ ოსმალოს ხელში, მაგრამ ბოლოს შევვერთდით ერთად. დღეს ჩვენ ერთ საყვარელ ძმებად ვიმყოფებით, ერთი სისხლი ვართ, ერთი ფადიშაჰი გვყავს, მხოლოდ ჩვენ თქვენთან გაცილებით შორსა ვდგევართ და დიდად ვართ დავარდნილი და დაცემულ-დაფუხარებული. ჩვენ ჩვენი პატრონობა არ შეგვიძლიან, თქვენ ხართ ჩვენი პატრონი, დღეს ჩვენი პატრონი არავინ არის და მოგმართავთ, თქვენ, ჩვენო საყვარელო ძმებო, და გევედრებით, რომ ქედაში სკოლა გაგვიმართოთ. ამ სკოლის გამართვით თქვენ დიდს დავალებას დაგვდებთ და, იმედია, რომ ამას არც ჩვენ დავივიწყებთ, ჩვენთვის, ქართველ მაჭმადიანებისთვის რომ ქედაში, ამ აჭარას დიდს ადგილს, სკოლა გაგვიმართოთ და დაგვიხსნათ ათას ნაირის გაჭირვებისაგან მომავალში. კარგი სკოლა აჭარისათვის წამალი იქნება. მის საშუალებით აქეთ ქართული კითხვა უფრო განმტკიცდება. იმედია, რომ ჩვენს თხოვნას შეიწყნარებთ, შეიბრალებთ ამოდენა ქართველ მაჭმადიანთა შვილებს და ქედაში სკოლას გაგვიმართავთ. ჩვენს გაჭირვებას, ბატონო, ჩვენი ენა ვერ მოგახსენებთ, ვიდრე თქვენის თვალით არა ჰხნახავთ".

მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია ვინატროთ, რომ წერილში დასახელებული „მუჰამედის ცხოვრება" შემდეგისათვის უფრო გულმოდგინე და მომეტებულის ყურადღებით აღიბეჭდოს ჩვენის ინტელიგენციის მიერ, რადგანაც, რამდენადაც ჩვენ ვიცით, „მუჰამედის ცხოვრება" შეცდომებით არის სავსე და ვაი თუ რაიმე ვნება მოიტანოს. ამისთანა საღმრთო წიგნის დაბეჭდვას დიდი სიფრთხილე ეჭირვება, დიდი საქმის ცოდნა და სიყვარული. აბა რას ეგვანება, რომ მაცხოვრის ცხოვრების აღწერა შეცდომით დაიბეჭდოს.

დასასრულ, ვინატრებთ წრფელის გულით, რომ აბდულ-ეფენდისა და სრულიად აჭარის მაჭმადიან ქართველობის სურვილი, რაც შეიძლება მალე ასრულდეს და მალე, ან, თუ შეიძლება, მერმისიდამვე გვენახოს ს. ქედაში ქართული სკოლა.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ფრანგული ხუთ-მოქმედებიანი მელოდრამა, ქართული სცენისათვის შემოკლებით გადმოთარგმნილი ვალერიან გუნიას მიერ. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო. სამწუხაროდ, ამ დღესაც წარმოდგენამ პირველ საათამდის გასტანა, თუმცა სასურველი-კია, რომ უფრო ადრე იწყებდნენ და ადრევე ათავებდნენ. ამ წარმოდგენაში პირველად მონაწილეობა მიიღო ქ-ნ მძინაროვისამ, რომლის შესახებ ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არაფერი ითქმის-რა, მაგრამ სასარგებლო არტისტი-ქალი-კი უნდა დადგეს.

*** სახელმწიფო რკინის გზათა უმაღლესს მთავრობას 10,000 მანათი გადაუდვია ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა შორის ხილერით დაზარალებულთათვის დასარიგებლად.

*** ჩვენ მოგვივიდა ფრიად ლამაზად დაბეჭდილი და შნოიანად დასურათებული პატარა საყმაწვილო წიგნი, ლექსად დაწერილი ბ-ნ შ. მღვიმელის მიერ. წიგნს ეწოდება „ოქროს თავთავი". დაუბეჭდია თავის ხარჯით იმავე საყმაწვილო სურათებიან წიგნების მბეჭდველს ბ-ნს გ. ტატიშვილს, რომელმაც, ამას გარ-

## ფელეტონი

**ერნესტო რენანი**

(Jules Lemaitre: „Les Contemporains", première série)

ჟულ ლემეტრისა.

IV *)

რენანის ნახვამ, თუ გული სრულად არ გამიტეხა, უკმარობა მაგრძნობინა. რენანს ისეთი გარეგნობა სულ არა აქვს, როგორიც მოსალოდნელია, იმისის წიგნებისა და ცხოვრების კვალობაზედ რომ განვსაჯოთ. იმისი პირი-სახე, რომელიც მეტისმეტის ურწმუნოების ხელთ-ნაქმარი გვეგონა, უფრო ბერანჟეს ღვთის-მეტყველებას გვაგონებს, ასე საუცხოოდ სასაცილოდ აღებულს მის მიერ.

*) შემდეგი. იხ. „ივერია", № 212.

ჩემის აზრით, რომელიმე ოსტატი სამჭევრ-მეტყველო ხელოვნებისა ამ გარემოებაში ბევრს მასალას იშოვიდა, რომ თავისი ნიჭი ევარჯიშებინა.

— ამ კაცმაო, იტყოდა იგი: გამოსცადა საშინელი ზნეობრივი კრიზისი, ისეთი საშინელი, რომ იმაზედ უსაშინელესი ძნელად-ღა წარმოსადგენია. ოცის წლისა, მერე ისეთ გარემოებათა შორის, როდესაც არჩევანი მეტად სამძიმოა და დრამატიული, იგი იძულებული იყო ერთ-ერთი ერჩია, ერთ-ერთს დასდგომოდა: სარწმუნოებასა ანუ მეცნიერებას, — უნდა ამოეფხვრა გულიდგან დიდად მტკიცე და მეტად ნაზი გრძნობა და, რადგანაც იგი უფრო მეტად დიდად იყო განმსჭვალული ამ გრძნობით, ვიდრე სხვა ვინმე, ამიტომ მისი აღმოფხვრაც მით უმეტეს ძნელი იყო. და ის-კი მხიარულია!

ამაზედ უფრო მცირედის გრძნობის ამოფხვრისა გამო ლამენნე საშინელის სასოწარკვეთილებით გარდაიცვალა. ამაზედ უფრო მცირედ მნიშვნელოვან მიზეზთა გამოისობით გულ-წმიდა ჟოფრუას სამუდამოდ დასჩემდა დარდი და ნაღველი. უფრო უარარაო საბაბის გამო, ეჭვისა-კი არა, ეჭვის შიშის გამო, პასკალი ჭკუიდგან შეიშალა. რენანი-კი მხიარულია!

თავისის სარწმენისათვის რომ ელალატნა, შეიძლებოდა შეუშფოთებელის ცხოვრებით დამტკბარიყო, იმ მშვიდობიანის ცხოვრებით, რომელიც ხშირად შედეგია მტკიცე რწმენისა. მაგრამ ამ ფილოსოფოსს სწორედ კათოლიკეს გუნება-ოცნება აქვს შერჩენილი. მას კიდევ უყვარს ის, რაც უარ-ჰყო. მღვდლადვე დარჩა და თვით უარ-ყოფას ქრისტიანობრივის მისტიციზმის ხასიათსა სდებს. მისი ტვინი გაუქმებულს ტაძარსა ჰგავს: შიგ თივასაც ინახავენ, ლექციებსაც კითხულობენ, და ტაძარი მაინც კიდევ ეკკლესიაა. რენანი-კი იცინის! რენანი-კი სიხარულს ეძლევა! რენანი-კი მხიარულია!

ამ კაცმა თავისის სიცოცხლის ოცი წელიწადი შესწირა ისტორიის ყველაზედ უფრო შესამჩნევსა და ყველაზედ მეტად საიდუმლო ამბავს. იგი ჰხედავდა, როგორც იბადებოდა სარწმუნოებანი, უბრყვილოთა და ფანატიკოსთა გულის თქმა კარგად უწყოდა; ჰხედავდა, რამდენად უნდა იყოს ხალხი უბედური, რომ ასეთის ოცნებით ისულდგმულოს, რამდენად გულ-უბრყვილო უნდა იყოს, რომ ამითი ინუგეშოს. მაინც-კი მხიარულია!

ამ კაცმა თავისს ბერტლოსთან მიწერილს წერილში საუცხოოდ აღნიშნა უშველებელი პროგრამა მეცნიერებისა და იქავე ისიც განმარტა მცირედ, თუ რა გააკეთა მეცნიერებამ. იმ დღეს მან გამოსცადა და ჩვენც გადმოგვცა გრძნობა განუსაზღვრელობისა. იმაზედ უკეთ არავინ არ უწყოდა, რა ამაოა ჩვენი ცდა-ფორჩხალი და რა მიუწდომელია ჩვენი ბედი. მაინც-კი მხიარულია!

ეს კაცი ამას წინად ჰლაპარაკობდა საბრალო ამიელის შესახებ, რომელიც აზრის გამო იმდენს იტანჯა, რომელიც ნელ-ნელა ჰქრებოდა, მეტაფიზიკურის სენით დაავადებული, და ჰაბუკისებურის გულ-ზვიადობითა და დედაკაცისებურის ხელ-მოუვლებელ ლოგიკით არწმუნებდა ხალხს, რომ, მაინც და მაინც, ეს სოფელი ისე მწუხარეც არ არის იმათთვის, ვინც დიდის თავ-დაჭერითა და აზრიანად არ ეკიდება, ათასი საშუალება არსებობს ბედნიერად ყოფნისა, და რომ იმათ, ვისაც ბედად არა აქვს ნარგუნი „ცხოვრება" სათნოებისა ანუ მეცნიერების შემწეობით, ამისსავე მიღწევას შეიძლებენ მოგზაურობისა, ქალებისა და ქეიფის მოწყალებითაო (იქნება ვამახინჯებდე იმისს აზრს ჩე-

და, უკვე ექვსი ამისთანა სხვა საყმაწვილო წიგნი დასტამბა და შეამკო თავის მიერ გაკეთებულის სურათებით. ახალ წიგნის ყდას აწერია კიდევ შემდეგი: მზადდება სხვა საყმაწვილო სურათებიანი წიგნიცა „მაიმუნები“ და ქართულის ანბანის მონოგრამები, რიცხვით 540 ფიგურაო. ეს მონოგრამები კარგი უნდა იყოს ხელსახოცებზედ ძაფით ასოების ამოსაკერად.

ახალი წიგნი „ოქროს თავთავი“ გადვიკითხეთ ბოლომდე და, უნდა ვსთქვათ, რომ მეტად სახალისო ჲ სასარგებლო ამბავია მოთხრობილი ყმაწვილებისათვის. თვით ლექსიც დიდად სუბუქია, ადვილად წასაკითხი და გასაგები ბავშვისათვის. ფასი ამ პატარა წიგნისა არ არის დიდი: ერთი აბაზი ღირს.

*** მოგვივიდა მეორე ახალი წიგნიცა: „ხოლერის ლექსი“, შედგენილი გ. ფარადაშვილის მიერ. ამ ლექსებს არავითარი ღირსება არა აქვს: არც ლექსი ლექსობს და არც ქართული ჰგავს ქართულს. აზრიც არა მოიპოვება-რა, იმ ათასჯერ თქმულს გარდა, რომ სუფთად უნდა ვიცხოვროთო, მკურნალთა დარიგებისამებრ უნდა მოვიქცეთო.

*** ტფილისის მე-7 ნაწილში, ფალავანდოვის ქუჩაზედ, იოსებ მელქუმოვის სახლში, № 12, 5 ოქტომბერს ავად გახდა ხუნაგით ბარბარე ფაზოვისა, 7 წლისა, და გარდაიცვალა 7 ოქტომბერს.

*** ამ დღეებში ტფილისის მესამე სასანიტარო დასმა გასინჯა „ჩრდილოეთის ნომრები“ და აღმოაჩინა, რომ სასტუმროს სამზარეულო ძრიელ უსუფთაოდ ყოფილა და მოსამსახურეთა ოთახებშიაც საშინელი უსუფთაობა აღმოჩნდა. მოსამსახურეთ საბანსა და ლეიბის მაგიერად რაღაც ფალას-ფულასი ჰქონიათ საწოლად. სასანიტარო დასმა ნომრების პატრონს ოქმი შეუდგინა.

*** სიღნაღის მაზრის დაბა ლაგოდეხს თ. ჩოლაყაშვილის მამულის, ერთს ფიცრულში ნახეს დაჭრილი მუშა, სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგას მცხოვრები დათიკო ხონიაშვილი. დამნაშავედ იცნეს სიღნაღის მაზრის დაბა ლაგოდეხის მცხოვრები ერთი მეურმე და შეიპყრეს კიდეც.

*** პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთები სწერენ: ხმა დადის, რომ კავკასიის აქციზის მმართველად ს. ვ. მარკოვის მოადგილედ დანიშნული იქნება ლიფლიანდიის გუბერნიის აქციზის მმართველი დ. ს. ს. პერშკეო.

*** ახალციხეს ჯარში გასაყვანთა მოკრეფა იქნება 1 და 5 ნოემბერს.

ქუთაისს ჯარის მოკრეფა იქნება ქუთაისს 1, 10, 20, 30 ნოემბერს და 10 დეკემბერს.

*** სოფ. ხაშმი: ბევრს ვაი-ვაგლახთან ისიც ზედ დაგვერთო, რომ მკვდრებს საფლავში არ ვაყენებთ, ძვლებს საფლავიდგან ვიღებთ და ახლებსა ვმარხავთ, რადგან სასაფლაოზედ ადგილი აღარ არის. წინად სასაფლაო კარგა მოშორებით იყო სოფელზედ, ეხლა-კი თითქმის შუაში მოექცა, იმიტომ-რომ სოფელი გაიზარდა. სასაფლაოს შორს გადატანას არავინა ჰფიქრობს. სასურველია, ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

*** ფოთი: 5 ოქტომბერს აქ ერთი უცნაური ამბავი მოხდა: ს. ლ—ს სახლს, როცა შინ მარტო ცოლი იყო თავის მეზობელ ქალებით და ჩაის შეექცეოდა, დაესხმნენ თავს ვიღაც-ვიღაცები და წივილ-კივილით მიჰყავდათ ქალი. შეატყობინეს ამ დროს ეს ამბავი, ვისიც ჯერ იყო, და იმან დააბრუნა გატაცებული ადამიანი სახლში მშვიდობით. არავინ იცის, რა მოხდა და რა იყო მიზეზი ასეთის დარბევისა და რა განზრახვით მიუხტნენ იმ სახლს ზემოხსენებული ვაჟბატონები.

*** ბელაგორი, 7 ოქტომბერს: 142 ვერსზედ კლდე ჩამოინგრა და სახალხო მატარებელი № 1 შეაჩერა, რომელიც ტფილისს ღამის 2 ს. 50 წ. მოვიდა.

*** სოფ. სამთავისი: ხოლერამ არც ჩვენი პატარა სოფელი დასტოვა უნახავად. მართალია, სხვასავით ძლიერ არ გამოგვკრა სარმა, მაგრამ რაც მოხდა, ღრმად ჩაგვრჩა ხსოვნაში. მარიამობისთვე იყო ისევ. შუაღამისას გაისმა ხმა, რომ სოფელში ხოლერით ავადმყოფი შემოიყვანესო. ამ ხმამ შიშის ზარი დასცა ხალხს და ერთს წამს დიდი და პატარა, ქალი და კაცი ფეხზედ დადგა: ასტყდა ვიში, ხმაურობა, ძახილი და ჩივილი, რომელიც ბოლოს ლანძღვა-მუქარად გადიქცა: „ვინ არის, რომ გვღუპავს, ეგ შეჩვენებული, არ შემოუშვათ, დავხოცოთ, ავიკლოთო!..“ ასეთს ალიაქოთში იყო ხალხი, როდესაც ფერშალმა ურმით მოაყენა სოფელს ხოლერით ავადმყოფი, აქვე ზედსიძედ შესული გლეხკაცი. ფერშალმა წინადვე დაარიგა მამასახლისი, რომ სოფლის მოშორებით ხოლერიან ავადმყოფთათვის შესაფერი ქოხი გაეკეთებინა. მამასახლისს ჩამოეჩხა რამდენიმე მუხის ტოტი და ისეთი ფარდული გაეკეთებინა, რომელსაც წვიმაც, სიცივეცა და ქარიც ადვილად ჩაუვიდოდა. თავად საღს, თორემ ხოლერიანს ავადმყოფს ხომ არ ედგომინებოდა. მერე იმ ღამეს საშინლად ციოდა, ცა ერთიანად მოქურუშებულიყო, მოღრუბლულიყო და წვიმას ეპირებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ფერშალს არ დაეყენებინა ავადმყოფი მინდვრად და სოფლად მოაშურებდა. აღელვებული ხალხი არა სცხრებოდა, მაგრამ აი გამოჩნდნენ რამდენიმე ღვთისნიერნი, რომელთაც ხვეწნით და ჩაგონებით დააშოშმინეს ხალხი. ხალხი დაწყნარდა, მაგრამ ერთს საათს შემდეგ მთელი ნახევარ სოფელი მზად იყო გახიზნულიყო. აგერ შეაბეს კიდეც ურმები, მაგრამ ასტყდა საშინელი ჭექა, ქუხილი და ელვა. მოსკდა წვიმა კოკი-პირულად და წავიდა ნიაღვრის რუები. ელვა-ჭექამ თანდათან უმატა, თითოს ისეთას გაიელვებდა აქა-იქ, თითქოს ერთს წუთას მზემ გაანათა ქვეყნიერობაო, ან ცეცხლის ზღვა გამოჰკრთა და ისევ მალე ჩაქრაო. ისეთას დაიჭექებდა, თითქოს ცა აპირობს ჩამოვარდნას და დედა-მიწა—ქვესკნელს ჩაქცევასაო. აი ერთი საშინლად იელვა, ელვას მოჰყვა საზარელი ჭექა და საცა-და ახლოს ჩამოვარდა მეხი. ხალხმა იგრძნო რაღაც საზარელი შიში, სოფელი მართლაც იძრა, ეკკლესიის გალავანში მოისმა მაღლიდგან გადმოცვივნულ ქვების რახა-რუხი. შემდეგ ჭექა-ქუხილმა მალე იკლო, წვიმაც შესწყდა, გადიდარა, ხალხი დამშვიდდა. მეორე დილას ჩვენს თვალს წარმოუდგა შემდეგი: მეხი დასცემოდა სამთავისის ჩინებულ ტაძრის გუმბათს, იმ ალაგას, რომელზედაც ჯვარი სდგას, გაჰყოლოდა ჯაჭვს და დაენგრია ფილაქნით ნაშენი გუმბათი, სადაც ჯაჭვი ჩატანებულია ფილაქნებში. ნანგრევი ორ ოთხ-კუთხ არშინამდეა.

ავადმყოფი მეორე დღეს გამობრუნდა, მაგრამ შემდეგ ხილი ეჭამა და ვეღარ იცოცხლა. ღვთით, ამითი გადავრჩით.

*** იქედმვე: ამ ბოლოს დროს აქ ქურდობამ იჩინა თავი. ერთმა აქაურმა გლეხ-კაცმა დაჰკარგა ხარი და ვეღარ იპოვა. სოფლად მომუშავე უცხო ნალბანდს გაუტეხეს დუქანი და იარაღი მთლად მოჰპარეს. ლურსმებიც-კი აღარ გაუშვეს. აქაურსავე მოხუცებულს მედავითნეს მოჰპარეს ცხენი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ უპოვიათ. ქურდები შინაურები უნდა იყვნენ.

*** რუსულის გაზეთების სიტყვით, სათავად-აზნაურო სკოლას 65 თხოვნა მიართვეს ყმაწვილების სკოლაში მიღებისა. მიიღეს 40 მეტი მოსწავლე. წელს პანსიონერთა რიცხვი 100-ია, შარშან-კი 83 პანსიონერი იყო. ბევრია მსურველი მე-II, III და IV მოსამზადებელ კლასებში შესვლისა, მაგრამ ყველას უარს ეუბნებიან ვაკანსიის უქონლობისა გამო. წელს ამ სკოლაში სწავლობს სულ 204 ყმაწვილი, შარშან-კი სწავლობდა 164. ამათში: მოსამზადებელ კლასის I განყოფილებაში 26, II განყოფილებაში 37, III განყოფილებაში 37, IV გან.—42, I კლასში 26, II—20, III—10, და IV—6 მოსწავლეა.

მე-IV კლასის დაარსებასთან ერთად მოემატა მასწავლებლებიც: რუსულის ენისა და გეოგრაფიის მასწავლებელი ალ. გარსევანაშვილი, (რომელიც ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში იყო მასწავლებლად) ჲ მათემატიკის მასწავლებლად ნიკ. იოსელიანი.

*** „Вѣстникъ Евр“. ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია თ. აკ. წერეთლის თხზულება „თამარ ცბიერი“, ვ. ველიჩკოს მიერ ნათარგმნი რუსულს ენაზედ. დრამას სათაურად აწერია „Тамара“.

*** გაზ. „Вѣст. Виноделія“ ამბობს, რომ უცხოეთის სწავლულთ, ფილოქსერის საქმის მცოდნეთ მარიონსა და გორვარტს უნდოდათ მოსვლა რუსეთის ვენახების დასასინჯად, მაგრამ რაკი კავკასიაში ხოლერაა, გადასდეს თავისი განზრახვაო. მაინც თუ შემოდგომის გასულს ხოლერა მოისპო კავკასიაში და ეს სენი არ გავრცელდა ბესარაბიაში და ხერსონის გუბერნიაში, შესაძლებელია, ის სწავლულნი მოვიდნენ რუსეთს, გასინჯონ ვენახები და ფილოქსერის მოღვაწეებთან ერთად განსაჯონ, როგორ და რა გზით უნდა განაგრძონ თვისი მუშაობა შემდეგში საფილოქსერო დასებმა მოსასპობლად ფილოქსერისა. ეს ვაზის მტერი, კავკასიას გარდა, როგორც ვიცით, ძრიელ ვრცელდება სამხრეთ რუსეთშიაც. მაგალითად, ოდესის საფილოქსერო კომიტეტის გამგე-წევრს პროფ. მელიქიშვილს უცნობებია დეპეშით სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსათვის, რომ ამ ბოლოს დროს ფილოქსერა აღმოჩენილ იქმნა ექვსის დღიურის სივრცეზედ მდ. პრუტის მახლობლადაო.

*** რუსეთის გაზეთებს შეუტყვიათ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს აფთიაქების მართვა-გამგეობა ხაზინას გადასცესო. ეხლანდელი მეაფთიაქეები იმოდენა სარგებელს იღებენ, რომ, ამ შემოსავალს 25 $^{0}/_{0}$-ით მოაკლოთ, მაშინაც იმოდენი შემოსავალი იქმნება, — არა თუ ხარჯს დაჰფარავს, დიდი მოგებაც დარჩება და ადვილად შესაძლო იქმნება ყოველ აფთიაქს თავის ექიმი ჰყავდეს, რომელიც მოვალე იქმნება უფასოდ აღმოუჩინოს შემწეობა ღარიბს ხალხსა. გარდა ამისა, ისიც შეიძლება, როდესაც აფთიაქები ხაზინას ჩაჰბარდება, რომ ბევრი წამალი უფასოდაც მიეცეს ღარიბ ხალხს და იაფმა ვაჭრობამაც უფრო ფართოდ გაშალოს ფრთებიო.

*** ამ თვის 8-ს, ძაღლების უბანში, ივანოვის სახლში, ცუდის ყოფა-ქცევის ქალი სალომე ცარიაშვილი მარჯვენა ძუძუში დასჭრა იმისმავე საყვარელმა ვანო ჩიკორიძემ. დამნაშავე შეიპყრეს, ქალი-კი სამკურნალოში აჰგზავნეს.

*** 7 ოქტომბერს, მეორე თუმანოვის ქუჩაზედ, თაქთაქოვის სახლში, აფიცერს ვლადიმერ დიმიტრის ძეს მელეშკოს სინჯვის დროს რევოლვერი გაუვარდა და მოხვდა იმასთან სტუმრად მყოფს კოლეჟსკი სეკრეტარის ქალს, 17 წლის ლიუბოვ იაკობის ასულს მაქსიმოვს, და მარჯვენა მხარეში მძიმედ დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

---

მის თარგმანებით, მით უფრო ცუდი იმისთვის! რა საჭიროა ასეთის სიფრთხილით და სიტყვების დიდის გულდადებულ დალაგებით გამოთქმა რომლისამე აზრისა?) კარგად ვიცი, რომ პესიმიზმი, თუმცა ასე გამოიხედდება, ფილოსოფია არ არის, არამედ მხოლოდ უგუნური გრძნობაა, რომელიც იმისაგან წარმოსდგება, რომ სავსე, სრული აზრი არა აქვთ ქვეყნიერობის შესახებ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ხშირად შევხვდებით ხოლმე მეტად თავ-ხედ ოპტიმისტებს. არა, როგორ მოგწონთ! ეს ბრძენი ამ რამდენისამე ხნის წინად თვითვე აღიარებდა, რომ უსარგებლო და გაუგებარი, უმიზეზო ტანჯვა არსებობსო; საშინელი დრტვინვა საამქვეყნიო მწუხარებისა იმისდა უნებურად მიაღწევდა მისდა ყურთამდე: და ამას შემდეგ მაინც მხიარულია! ვაი მოცინართა! — როგორც ნათქვამია საღმრთო წერილში. ასეთი სიცილი უკვე გამიგონია ოდისსეიაში: ეს უნებური ხარხარი ბოროტი ხარხარია საცოლო ვაჟკაცთა, რომელნიც უნდა დაიღუპნენ.

არა, არა, რენანს ნება არა აქვს მხიარულად ყოფნისა. თუ მხიარულია, ალბად იმიტომ-რომ ან მეტად თამამი მიმდევარია თავისის აზრისა, ან მეტად ბრმა. როგორც მაკბეტმა ძილი მოჰკლა, ისე რენანმა ოცჯერ და ასჯერ განუპო გული ყოველს თავისს წიგნში სიხარულს, მხნეობას, მშვიდობას სულისასა და ზნეობრივის ცხოვრების სიწყნარეს. სათნოება რომ გამოიჩინოს ადამიანმა იმ ფარულის აზრით, რომ სათნოებიანი კაცი, იქნება სულელიც იყოს, თავისთვის „ორ-პირ სიბრძნეს“ ჰქმნისო, გულში თქმა, რომ „სათნოება ჩვენი მოვალეობაა, მაგრამ უფლებაკი გვაქვს დასიცილი დავურთოთ, ამითი მაგიერს ვუხდით, ვისდამიც ჯერ არს, ხუმრობა ხუმრობისა წილო“ და სხ., — ძალიან კარგია, ძალიან. მაგრამ კეთილის აროდეს არა ქმნა წმიდა, უზადო გულით, ქმნა მისი მხოლოდ იმიტომ, რომ მიხდებაო, გონება-მახვილობით ასე შეზავება იმ კეთილისა, რომელსაცა იქმთ, სათნოდ ყოფასთან ზედ დატანება იმ კაცის ურწმუნოებისა და შორს-გამჭვრეტელობისა, რომელსაც მოულოდნელად ვერაზედ წაასწრებთ და რომელიც თუ ტყუილს დაჰყვება ხოლმე, მარტო იმიტომ, რომ ასე ჰსურს, განა ყოველივე ეს, თუნდა წარმოვიდგინოთ კიდეც, რომ შესაძლებელია, სატირლად, საგლოვად არ მიგაჩნიათ? ნუ შევუშინდებით იმას, რომ უზრდელისა, გასწორ-გასწორა ჭკუის, არავითარის წვრილმანის არ-შემწყნარებელს კაცს დაგვარქმევენო. ისეთი წვრილმანი არ არსებობს, რომ არ გაჰქრებოდეს. ასეთის ექვის გამოცხადება და დასიცილი, უბრალოდ რომ ვსთქვათ, უარყოფაა, და ეს უარყოფილობა, ძალიან კოხტა და მოხდენილიც რომ იყოს, მარტო ოდენ უფსკრულია სევდისა და უიმედობისა და სხვა არარა. დაიხსომეთ, რომ უარს არა ვყოფ ჭეშმარიტებას, რომელიც ამ ფილოსოფიის თვისებაა (ეს ჩემი საქმე არ არის), — მე მხოლოდ იმის მჭმუნვარებას აღვნიშნავ. აქ ისიც სათქმელია, რომ რენანი არც ერთს დასკვნას, რომლის გამოყვანაც მისის აზრისაგან შეიძლება, არ უფრთხის და უკუ არ უდგება. მან ერთის საოცარის სიტყვის ხმარება იცის, რომელიც „ცხონების“ გამომეტყველია სწორედ შემდეგი: «იქ იგემე სიტკბოება, სადაც მოახელოო» და რომლის თქმის დროსაც შესაძლებლად მიაჩნია არსებობა წმიდანებისა: გემოთ-მოყვარეობისა, მორფიისა და ალკოჰოლისა და, ამისდა მიუხედავად, მაინც მხიარულია! როგორ ახერხებს მერე ამას?

შეიძლება გვიპასუხოს ვინმემ:

— რა ადვილი ყოფილა, რომ გააოცოს კაცმა, შე გულ-უბრყვილოო!

ნუ აღშფოთდებით იმისა გამო, რომ მისი მხიარულება ბოროტ-მეტყველია, რადგან მე რომ მინდოდეს, შემიძლიან დაგიმტკიცოთ, რომ ეს მხიარულება გმირულია. ამ ბრძენმა სასტიკი სიჭაბუკე გამოვლო ოც-და-ათის წლის შემდეგ, რომელიც მან მეცნიერებას მოანდომა, აღიარებს, რომ თვით ეს სისასტიკე ამაო იყო, შეცდომის მსხვერპლი ვიყავ, მართალნი არიან უბრყვილონი გულით და განუსჯელნი, უდარდელნი, მაგრამ აწ გვიანღაა, რომ ჩემს წილს ქადა-ნაზუქს ხელი წავავლოო. კარგად იცის ეს, ათასჯერ უთქვამს კიდეც, და მაინც მხიარულია! საოცარია სწორედ!

ორ-ანი

(დასასრული იქნება)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქუთაისი.** ერთი დიდი ნაკლულევანება იმერეთის სამღვდელოების ცხოვრებისა ის იყო დღემდე, რომ დედათა საეპარქიო სასწავლებელი არ არსებობდა ქუთაისის გუბერნიაში. ტფილისის სემინარიაში კურს შესრულებულმა იმერელმა ახალგაზდამ არ იცოდა სად აერჩია სასძლო, რომ მასთან ერთად თამამად შესძლებოდა ეკისრა მძიმე უღელი მღვდლობისა. მომეტებულს შემთხვევაში იძულებული იყო სრულიად უსწავლელ სოფლელთა ქალთა შორის აერჩია მეუღლე და თანამოგზაური ცხოვრებისა, ისეთ ქალთა შორის, რომელთაც ძალიან მცირედ, ან სულ არ ესმით მაღალი დანიშნულება მოძღვრისა და ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებლისა. ცხადია, რომ ასეთი ვითარება საქმისა ფრიად ძნელი ასატანი უნდა ყოფილიყო უფრო იმ განათლებულ ახალგაზდისათვის, რომელსაც სოფლად უნდა ემსახურნა, სადაც ძვირად შეხვდება განათლებული მოძღვარი იმისთანა კაცს, რომ მხარი დაუჭიროს, შეურჩინოს და უფრო განუმტკიცოს თითოოროლა იდეალი სპეტაკის მხნეობისა და ცხოვრებისა. ამ გვარ შემთხვევაში ერთად-ერთი მანუგეშებელია კარგი, სულით და გულით განათლებული მეუღლე, რომელსაც, სამწუხაროდ, მოკლებული იყო აქამდის სასულიერო წოდება. მართალია, ქუთაისში არსებობს დედათა გიმნაზია, მაგრამ ამ სასწავლებელში სულ სხვა წრისა და შეძლების დედ-მამათა ქალნი სწავლობენ. ვერც სამღვდელოდ მომზადებულნი და ვერც ეს ქალნი ერთმანეთს ადვილად ვერ შეითვისებენ, ვერ შეემკვლელებიან. ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ ეს შეუფერებელი ვითარება საქმისა დიდი ხანია რაც იგრძნო და მოინდომა იმის აშორება თავიდგან. 1879 წლიდგან ტფილისში დაარსდა დედათა საეპარქიო სასწავლებელი, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს იქაურს სამღვდელოებას, ოღონდ მცირეოდნადკი შეიცვალოს მისი პროგრამა და უფრო მეტი ყურადღება მიექცეს, ცხოვრებაში გამოსაყენებელ საგანთა სწავლების გარდა, შეგნებულ სწავლებას ისეთის საგნებისას, როგორიც არის დედა-ენა, საქართველოს საეკკლესიო და სამოქალაქო ისტორია და ქართული მწერლობა. იმერეთის სამღვდელოება მიხვდა, რომ ჩემთვისაც ურიგო არ იქნება საეპარქიო დედათა სასწავლებელიო, და აი, მას შემდეგ, რაც უარი მოუვიდა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებისა, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მოთავეობით დაიწყო შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რათა ნება მიეღო დედათა საეპარქიო სასწავლებლის დაარსებისა ქუთაისში. წრეულს ამ შუამდგომლობას დასასრული მიეცა და სამღვდელოებას ნება-რთვა მოუვიდა. სასწავლებელს სახელად ეწოდება „გაბრიელის დედათა სასწავლებელი“ სახსოვრად იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ოც-და-ათის წლის მოღვაწეობისა.

დღეს, 4-ს ოქტომბერს, დანიშნული იყო კურთხევა სასწავლებლის შენობისა, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად შესწირა სამღვდელოებას სტრუიცკიმ. კურთხევაზედ დასასწრებლად მოწვეულნი იყვნენ ქუთაისის მაღალის საზოგადოების წარმომადგენელნი. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელოესი გაბრიელი ქალაქის სამღვდელოების თანადასწრებით. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო, სამღვდელოებითურთ გაემგზავრა სასწავლებლის სასტუმრო ოთახში, სადაც გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისზედ დაესწრნეს: გრაფინია ზარნეკაუ, ვიცე-გუბერნატორი ბარონ ბრიუგენი, დივიზიის კომანდირი გურჩინი, ქალაქის მოურავი ლოლუა და სხვანი. გათავდა პარაკლისი და ქუთაისის საკრებულო ტაძრის დეკანოზმა მ. გ. ცაგერეიშვილმა წაიკითხა რუსულად ვრცელი სიტყვა. მან მოიხსენა ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ყოვლად სამღვდელო გაბრიელს სასწავლებლის დაარსებაში, და განმარტა ის აზრი, რომელსაც უნდა ემსახუროს ეს სასწავლებელი. პარაკლისის შემდეგ საპატიო სტუმარნი იყვნენ მიპატიჟებული საუზმედ. რომელიც მოემზადებინათ ოთხმოც სულისათვის. საუზმის დროს ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და მისის სახლეულობისა, საქართველოს ექსარხოსის პალადისა, აღდეგრძელა აგრეთვე რამდენიმე იქ მყოფთაგანიც და შემდეგ თამადობა დაუთმო ქალაქის მოურავს ლ. თ. ლოლუას. საუზმე გათავდა სამ საათზედ და მოწვეულნი სტუმარნიც დაიშალნენ.

ი. ს—ძე

## ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოსვენების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

თითქმის ყველამ იცის, რომ უდროოდ და უცხო მხარეს გარდაცვალებული პოეტი ნ. ბარათაშვილი ასაფლავია განჯას, ძველის საყდრის გალავანში. ამ რამდენისამე თვის წინად დიდი ლაპარაკი ასტყდა, როგორც თქვენს გაზეთში, ისე კერძოდაც, ბარათაშვილის გვამის გადასვენებისა და სამშობლოში დასაფლავების შესახებ, რადგანაც ის საყდარი ინგრევა და გალავანზედ-კი, სადაც ასაფლავია დაუვიწყარი პოეტი, ქუჩა უნდა გაიყვანონ ახალის გეგმით.

ეს იყო მიზეზი, რომ ფონდი შესდგა თქვენს რედაქციაში, ბარათაშვილის სახელობაზედ, საჭირო ფულის შესაკრებად. ზოგმა ნათესავებმაც იკისრეს შესამჩნევი ხარჯი გაეწიათ, მოთავეებსაც ასახელებდნენ, რომელთაც პატივი უნდა ეცათ და მონაწილეობა მიეღოთ გადმოსვენების საქმეში, (მაგალითად: ერთმა რკინის გზის მოხელე ქართველმა ავქ. ცაგარელი დაასახელა რკინის გზაზედ მოხელე ქართველების წარმომადგენლად).

ეს იყო და ეს. როგორც თითქმის ყველა ჩვენში დაწყებული საქმე, ესეც დავიწყებას მიეცა. ჩვენ მაინც აგრე ვიცით: ჯერ დავიწყებთ და შემდეგ დავივიწყებთ ხოლმე. რა იყო მიზეზი დავიწყებისა, არც ვიცი და ამის გამოკვლევას არც შევუდგები. მხოლოდ ამას-კი ვიტყვი და მოვაგონებ როგორც ბარათაშვილის თაყვანისმცემელ ქართველს საზოგადოებას, ისე პოეტის ნათესავებსაც, რომ თუ ჰსურთ და უნდათ მიცვალებულის გვამის სამშობლოში გადასვენების დაგვიანება აღარ იქნება, რადგანაც, როგორც განჯის ეკკლესიის მთავარმა ბ-ნმა ტატიშვილმა მიამბო, რომელ მიცვალებულთაც ამ ერთს თვეში არ გამოუჩნდება პატრონი, იმათს გვამს ამოიღებენ და ერთად დაასაფლავებენ ახალს სასაფლაოზედაო. ერთად რომ ვთქვი, ეს იმას-კი არა ჰნიშნავს, რომ ერთს სასაფლაოზედ იქმნებიან დასაფლავებულნი, არამედ იმას, რომ ერთს საფლავში აირევა ჩვენის დაუვიწყარის ბარათაშვილის ძვლები სხვა უპატრონო მიცვალებულების ძვლებთან.

ამიტომ კიდევ ვიმეორებ, რომ დროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და თუ არ მოხერხდა რაიმე მიზეზით აქედგან გადასვენება, განჯაში მაინც დაიმარხოს ცალკე, რომ, სხვა არა იყოს-რა, ვიცოდეთ, სად განისვენებს ჩვენი უდროოდ წუთისოფელს გამოსალმებული პოეტი.

იმედია, ვისიც მოვალეობაა და ჰსურთ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება, არ დაიგვიანებენ და დროზედ შეუდგებიან საქმეს, რადგანაც, როგორც წინადაცა ვსთქვი, ერთის თვის შემდეგ გვიან-ღა იქნება.

თუ ეხლაც ყური არ შეიბერტა ქართველობამ, მაშინ ჩვენ, რკინის გზის სადგურ განჯის მოსამსახურენი, იძულებულნი ვიქნებით ვუპატრონოთ მოძმეთაგან უყურადღებოდ დატოვებულს ძვირფასს ნეშტს ჩვენის დაუვიწყარის პოეტისას და ცალკე დავასაფლაოთ აქვე განჯაში მაინც. იმედია, ქ. განჯაში მცხოვრები და მყოფი ქართველობაც ხელს მოგვიმართავს და მხარს მოგვცემს.

სოლომონ დოლიძე

4 ოქტომბერი
სად. განჯა

## ტფილისის სამოსამართლო პალატა

(თიანეთის მაზრის უფროსად ნამყოფის თ. ალექსანდრე დიმიტრის ძის აბხაზის საქმე)

6 ოქტომბერი

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 212)

ამ საქმის შესახებ დაბარებული იყო 27 მოწმე.

ბრალმდებელმა სთქვა, მოწმებს ნუ ვკითხავთ, რადგანაც თვით თ. აბხაზმა აღიარა, რომ განსვენებულის გუბერნატორის თ. გაგარინის თანხმობით გლეხებს ქერის მაგიერად ფულს ვურიგებდიო. ბრალდებულის ვექილმა-კი სთქვა: მოწმეთ უეჭველად უნდა ჩამოვართვათ ჩვენება, რადგანაც იმედი მაქვს, მოწმეთა ჩვენებით სრულიად დამტკიცდება, რომ აბხაზს არავითარი ბოროტი განზრახვა არა ჰქონია, როცა ქერის მაგიერად ფულს ურიგებდა გლეხებსაო. გარდა ამისა, მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდებაო, სთქვა ვექილმა, რომ თ. აბხაზს კამერალიის სიაში ჩაწერილთ გარდა სხვებისთვისაც დაურიგებია ფული, სხვათა შორის ქვრივ-ობლებისათვისაო.

პალატამ გადასწყვიტა, ჩვენება ჩამოერთვას ყველა მოწმეს. აი ზოგიერთ მოწმეთა ჩვენება:

მღ. ზურაბაშვილი. სიმშილის დროს მე მღვდლად ვიყავი და სხვებთან ერთად ვადგენდი სიას იმ გლეხებისას, ვისთვისაც შემწეობა უნდა მიეცათ. გადავწყვიტეთ, რომ თითო კომლისთვის 16 ფუთი ქერი უნდა მიგვეცა. როგორც ჩვენმა საზოგადოებამ, აგრეთვე ხევსურთა სთხოვეს თ. აბხაზს, ქერის მაგიერ, ფული მოგვეციო, ქერს ჩვენ თითონ ვიყიდით, ჩვენ თითონვე მოვიტანთ და უფრო იაფად დაგვიჯდებაო. თ. აბხაზმა ჩვენი თხოვნა შეიწყნარა და დაგვირიგა 6 მან. და 20 კაპეიკი თითო კომლზედ. თ. აბხაზმა ფული დაურიგა აგრეთვე იმ ღარიბ-ღატაკ და ქვრივ-ობლებს, რომელნიც კამერალიის სიაში არ იყვნენ ჩაწერილნი. ზოგს 6 მან. და 20 კაპეიკზედ მეტიც დაურიგა თ. აბხაზმა. მაგალითად, მე 15 მან. მომცა. დასარიგებელი ფული სოფელმა თითონ გაანაწილა და ფულს თ. აბხაზი ურიგებდა.

არაბული. სიმშილობა რომ ჩამოვარდა, თ. აბხაზს მივმართეთ შემწეობისთვის. ცოტა ხანს შემდეგ გამოცხადდა, ხევსურებსა და ქისტებს ქერს დაურიგებენო. ჩვენ მივმართეთ თ. აბხაზს და ვთხოვეთ, ქერის მაგიერ ფული დაერიგებინა ჩვენთვის. დასარიგებელი ფული ჩვენ თითონ გავანაწილეთ და სიაც ჩვენ შევადგინეთ. თ. აბხაზმა პირველად თითო კომლს ათ-ათი მანათი და 20 კაპ. დაურიგა, მეორედ ექვს-ექვსი მანათი და 40 კაპ. ღარიბ-ღატაკთ, ობლებსა და ავადმყოფთ ამ ფულზედ მეტიც შეხვდათ. მე თითონ 3 მანათი მეტი მომცა თ. აბხაზმა, რადგანაც დიდის ოჯახის პატრონი ვარ.

დანარჩენ მოწმეთა ჩვენებამ სრულიად დაამტკიცა ყველა ზემო ნათქვამი.

მედვედიევი. 1883 და 1884 წლებში ტფილისის საგუბერნიო მმართველობაში ბუჰგალტერად ვიყავი. ერთხელ კანცელარიაში შემოვიდნენ განსვენებული ვიცე-გუბერნატორი ბელსკი და თ. აბხაზი. ბელსკიმ ანგარიში გადმომცა და მითხრა: «აბა გასინჯეთ, ეს ანგარიში, სწორედ არის შედგენილი თუ არაო“. ეს ანგარიში თ. აბხაზისა იყო. ერთს მხარეს ეწერა: „ნაყიდია ამდენი ქერი“, მეორეზედ—რამდენ-რამდენი ფუთი დაერიგათ მცხოვრებთ. მე მოვახსენე ვიცე-გუბერნატორს, რომ ამ ანგარიშს კონტროლი არ მიიღებს-მეთქი, რადგანაც ანგარიშთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს პირობის ქაღალდი იჯარადარისა, რომელსაც ქერი მიუყიდნია აბხაზისთვის-მეთქი.

— მე იჯარადარი არა მყავდაო, სთქვა აბხაზმა.

— მაშ ბარათი უნდა წარმოადგინოთ-მეთქი, ვუთხარი თ. აბხაზს, იმ კაცისაგან, ვისგანაც ქერი იყიდეთ.

— მე ქერი არ მიყიდნიაო, სთქვა თ. აბხაზმა, და, მაშასადამე, ვერც იჯარადარის პირობის ქაღალდს წარმოვადგენ და ვერც ქერის ნასყიდობის ბარათს.

— მე, ვიციო, სთქვა მაშინ ვიცე-გუბერნატორმა, რომ ბ-ნ გუბერნატორის თანხმობით თქვენ ქერის მაგიერად მცხოვრებთ ფულს ურიგებდით, მაგრამ რას იზამთ, კონტროლისათვის საჭიროა საბუთის ქაღალდი წარადგინოთ. გამოართვით ვისმე ქერის ნასყიდობის ბარათი და წარმოადგინეთო.

თ. აბხაზმა მოახსენა სასამართლოს; მე კარგად ვიცოდი, რომ გლეხებს არ აჩუქებენ იმ ფულს, რომელიც სიმშილის დროს ურიგდებოდათ და შემდეგში უკანვე მოსთხოვდნენ. ფულს მარტო იმათ-კი არ ვურიგებდი, ვინც კამერალიის სიაში იყო ჩაწერილი, არამედ ყველა კომლს, მაშ კარგი იქნებოდა, რომ ხალხი სიმშილით დახოცილიყო მხოლოდ იმიტომ, რომ 1873 წლის კამერალიის აღწერის დროს სიაში არ ჩაეწერათ მრავალი კომლი და ზოგიერთი ისეთი სოფელიც-კი, რომელშიაც 10 და 20 კომლი სცხოვრობდა. ჩემ ვექილის მიერ წარმოდგენილ მოწმობიდგანა სჩანს, რომ 1886 წელს, როცა კამერალიის აღწერა მოახდინეს კავკასიაში სამხედრო ბეგრის შემოღების გამო, ერთი-ორად მეტი აღმოჩნდა თიანეთის მაზრის მცხოვრებთა რიცხვი.

პალატა მკითხავს, რატომ მცხოვრებთ ყველას თანაბრად არ დაურიგე ფული, და აგრეთვე, რად მიეცი ფული იმათაც, ვინც კამერალურ აღწერის სიაში არ იყო ჩაწერილი, მაშინ როდესაც კარგად ვიცოდი, რომ ეს ფული თიანეთის მაზრის გლეხებს უკანვე გამოერთმევოდათ. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მთავრობის მიერ სესხად გაცემულის ფულის გამორთმევის დროს სოფელი მოვალეა თითონ გაანაწილოს გლეხთა შორის გადასახდელ ფულის რაოდენობა. ამ გვარ შემთხვევაში მთავრობა მხოლოდ თავისს ვალს მოითხოვს ხოლმე და სოფელი თითონ გაანაწილებს, ვისაც რამდენი უნდა გადახდეს. თუ ამ ჟამად ეს ასე არ მოხდა, ეს იმიტომ, რომ გლეხებს ჩააგონეს, ვალს ნუ გადიხდითო და ეს ფული თ. აბხაზს გარდახდებაო.

ეს გარემოება დამტკიცებულ იქმნა სასამართლოში.

პროკურორი ამტკიცებდა, რომ აბხაზი დამნაშავეა, რადგანაც, ქერის მაგიერ, ფული დაურიგა გლეხებს და კონტროლს ყალბი ქაღალდები წარუდგინაო.

ვექილმა სთქვა: თ. აბხაზი დამნაშავე არ არის, რადგანაც თ. აბხაზი განსვენებულის გუბერნატორის ბრძანებისამებრ მოიქცა და, როგორც მოწმეთა ჩვენებამ დაამტკიცა, თ. აბხაზს არავითარი ბოროტი განზრახვა არა ჰქონია, პირ-იქით, სინიდისერად შეასრულა თავისი მოვალეობა და უფროსის ბრძანებაო.

სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება მკითხველთ უკვე უწყიან ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომრიდგან.

# რუსეთი

სამხრეთ რუსეთში შაქრის მწარმოებლებმა, როგორც ადგილობრივი გაზეთები გვაცნობებენ, ხელ-ახლად ომი გამოუცხადეს შაქრის მხმარებელთ. გაზეთი „Одесскій Вѣстникъ“-ი ამბობს: საზღვარ-გარედ გატანა შაქრისა სრულიად შესწყდა ამ ბოლო დროს ოდესსიდგან; ამის მიუხედავად, შაქრის ფასი თანდათან ჰმატულობს. შაქრის საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ შაქრის ფასი უფრო აიწევსო. თითქოს ის შაქრის მწარმოებელი მექარხნეები, რომელნიც უკვე შესდგომიან შაქრის წარმოებას, დარწმუნებულნი იყვნენ, წრეულს შაქრის მოსავალი არ იქნება და დაბალის ღირსების შაქარი დადგე-

ბაო. გაზეთს ჰგონია, რომ ასეთის ხმის გავრცელებას ახალ იარაღად ჰხმარობენ შაქრის მწარმოებელი ჩარჩები საზოგადოების თვალის ასახვევად და შაქრის მხმარებელთა ჯიბის გამოსაცალიერებლად. ამ მოსაზრებას გაზეთისას ამართლებს შაქრის ვაჭრობა კიევისა, სადაც შაქრის მწარმოებელთა სინდიკატი ამხანაგობა არსებობს, რომ როგორც თვით ენებებათ, ისე ასწივ-დასწიონ შაქრის მაზანდა.

გაზეთს „Кіевское Слово“-ს მოჰყავს საყურადღებო ცნობანი შაქრის ვაჭრობის შესახებ. 20—24 სექტემბერს, ხუთის დღის განმავალობაში, გაყიდულა 716,872 ფუთი 4 მ. 78 კაპ.—5 მ. 25 კ. ფუთი და ფასი თანდათან ჰმატულობდაო. 42-ში მხოლოდ ოთხი შემთხვევა ყოფილა ისეთი, რომ მექარხნეს მექარხნესათვის მიუყიდნია შაქარი, სულ 71,000 ფუთამდე. დანარჩენ 38 შემთხვევაში მყიდველებად ყოფილან ჩარჩები და მიუყიდნიათ 645,872 ფუთი ფხვნილი შაქარი, ამ რიცხვში 13-ჯერ მიუყიდნიათ მექარხნეებს ჩარჩებისათვისა 335,000 ფუთი და ამ ჩარჩებს-კი სხვა ჩარჩებისათვის 25-ჯერ გადაუყიდნიათ სულ 310,872 ფუთამდე.

— „Сибир. Вѣст.“-ს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმის გამო, თუ რა ცრუ-მორწმუნეობა არსებობს მდაბიო ხალხს შორის ხოლერის შესახებ. სოფ. ანიკინის მცხოვრებნი ხშირად ჴანთებდნენ კოცონს „ხის ცეცხლს“. „ხის ცეცხლს“ ისეთს ცეცხლს უწოდებენ, რომელც შეშის შეშაზედ ხახუნითა და წასმითა ჩნდება. ხალხს სწამს, რომ ასეთი ცეცხლი სოფლად სახადის გავრცელებას ხელს უშლისო. მეორე სოფელში ისე ჰგონიათ, ხოლერას ქალის სახე აქვს და შეიძლება თოფის სროლით დავაფრთხოთო, და ამის გამო დღე და ღამ სულ თოფის სროლაში არიან. სოფელ სემილუჟნის მკვიდრნი დარწმუნებულნი არიან, ხოლერა არ გავრცელდება, თუ პირველსავე ხოლერით მიცვალებულს ვაწამებთო, და ამისთვის განუზრახავთ ერთის მიცვალებულის საფლავიდგან ამოღება და დაჩხვლეტა, მაგრამ დროზედ შეუტყეს თურმე მთავრობის მოხელეებმა და ნება არ მისცეს ასეთი საზიზღარი საქმე ჩაედინათ.

---

## სასარგებლო ცნობანი

როგორ უნდა დააყენოთ ტკბილი ღვინო? ტკბილის ღვინის დასაყენებლად უნდა აიღოთ ერთი წილი ახლად დაწურულის ტკბილისა და მოადუღოთ კარგად მოკალულს ქვაბში ნელს ცეცხლზედ. როცა მოდუღებული ტკბილი დაიკლებს $^2/_3$, $^3/_4$, ან $^5/_6$-დს, დანარჩენს გააცივებთ. ამ ბადაგს გაურევთ ღვინოდ დასაყენებელს ტკბილში 8 ვედრაზედ (ვედრაში 16 ბოთლია) $^1/_2$ ანუ 1 ვედრას.

---

## დეპეშა

7 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტრომ, განიზრახა რა, რომ სამრეწველო საქმეთა დაწესებასა და გამართვას ხელი არაფერმა შეუშალოსო, საჭიროდ სცნო ამ საგანის განსახილველად განსაკუთრებული კომისია შეადგინოს ტაინის სოვეტნიკის ტუგას თავმჯდომარეობით. ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ფინანსთა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი და მიწვეულნი იქმნებიან აგრეთვე მცოდნე კაცებიც.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციაში, როდესაც დელეგაციას უპასუხა, კალნოკიმ განაცხადა, რომ დიდად მოწადინებული ვარ საუკეთესო დამოკიდებულება გვქონდეს რუსეთთან და ვაჭრობის პირობითაც შევკრათოთ; მაგრამ ეხლა-კი ჯერ-ჯერობით ლოდინია საჭირო, ვნახოთ რუსეთი რას იტყვისო. გერმანიასთან შეკრულ კავშირის შესახება სთქვა მინისტრმა: „ვიდრე ჩვენ თავს არავინ დაგვცემია, იმ დრომდე ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირობებს არავითარი ძალა არა აქვსო; რუსეთს-კი არ მივუხდებითო“.

**ბერლინი.** ჯერ ძნელად სათქმელია, რითი გადაწყდება ბედ-იღბალი იმ სამხედრო კანონისა, რომელიც ჯარში სამსახურის ორ წლამდე შემოკლებას სასარგებლოდ ჰხადის; ამბობენ, მთავრობა ისე მტკიცედ აღარ ადგას თავისს სურვილს, მაგრამ პროექტის სრულიად თავის დანებება-კი აზრადაც არ მოსვლიაო.

ბავარიასა, ვესტფალიასა და პფალცს თანდათან უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა, თამბაქოს გარდასახადის შემოღების გამო და თამბაქოს მკეთებელნი ბერლინში დეპუტაციებსა ჰგზავნიან.

ლაპარაკი დაიწყეს იმის შესახებ, რომ, მსოფლიო გამოფენის მაგიერ, 1895 წელს გერმანიაში დიდი სამრეწველო გამოფენა გავმართოთო.

8 ოქტომბერი

**მოსკოვი.** დღეს წაბრძანდნენ სამზღვარ-გარედ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული.

**ტაშკენტი.** თურქესტანში ხოლერა მოისპო; იმიერ-კასპიის მხარეს კორდონი აიხსნა სპარსეთისა და ავღანისტანის მხრიდამ. იქიდამ ნებადართულია შემოტანა სავაჭრო საქონლისა, ძველ ტანისამოსსა და ფაარლას-ფულასს გდა.

**კიევი.** შაქრის მექარხნეთა წარმომადგენლებმა 7 ოქტომბრის კრეკრებაზედ გადასწყვიტეს: გავიტანოთ ბაზარში გასასყიდად, რაც-კი მომეტებული შაქარი გვაქვსო და გავანთავისუფლოთ შაქრის მექარხნენი სამზღვარ-გარედ გატანის ვალდებულებისაგანაო. და თუ ვინიცობაა შაქრის ფასმა მოიმატა ჩარჩების წყალობით, ვიშუამდგომლოთ, რომ ნებადართულ იქმნას შაქრის შემოტანა სამზღვარ-გარეთიდამ ბაჟის დაკლებით.

**ოზურგი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ პარიჟს გაემგზავრა.

**ვენა.** ერცჰერცოგ კარლოს-ლუდვიგს და მის მეუღლეს ერც-ჰერცოგინია მარია ტერეზიას გუშინ საღამოს უბედურება შეემთხვათ: ცხენები დაფრთხნენ და ეტლი გადაბრუნდა რუში; ერც-ჰერცოგი გადავარდა, თავი დაჰკრა და რამდენსამე ხანს უგრძნობლად იყო. ერც-ჰერცოგინია ეტლ-ქვეშ მოჰყვა. უკანა თვლებმა გადუარეს ფეხებზე და ორივ ფეხები დაუშავეს. მეეტლეს თავი გაუტყდა. ერც-ჰერცოგინია ამ ჟამად იძულებულია ლოგინად იწვეს; ერცჰერცოგი დღესაც თავის ტკივილს უჩივის.

დღეს გაუქმდა აღკრძალვა ცხენების მორეკისა რუსეთიდამ. ცხენების მორეკა აღკრძალული იყო ცხენების ჭირის გამო რუსეთში.

**პარიჟი.** პრეზიდენტმა კარნომ მიიღო დღეს ელისეს სასახლეში ჰერცოგი ლეიხტენბერგისა; თითქმის $^1/_2$ საათს იმუსაიფეს დიდის სიამოვნებით. მისვლისასა და წამოსვლისას მის უმაღლესობას სამხედრო პატივისცემა გაუწიეს; შემდეგ პრეზიდენტმა კარნომ თვით ინახულა ჰერცოგი და სამაგიერო თავაზა გაუწია.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,96 | 7,98 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $159^1/_4$ | 160 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $237^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $191^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმისსავე სადგომში, 5 ნოემბერს 1892 წელს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა ვერის ხიდის შემოსავლის იჯარით გასაცემად 1 იანვრიდგან 1893 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (4—2)

---

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—121)

---

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახებისა, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგედ. ქ. თუთაევი.

---

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

**„უნივერსალი სააგენტო“**

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-%-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5%-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. სადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10% იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-დ-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

აგენტი დ. ქ. თუთაევი

(20—2)

---

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

**ქუთაისში**

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—13)

---

**რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა**

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

(10—6)